საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 365

2012 წლის 12 ოქტომბერი ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის სარგებლობაში (ბალანსზე რიცხული) ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტისათვის“ სარგებლობაში გადაცემის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში 2012 წლის 12 ოქტომბერს შემოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N 01-14/2857 და საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის“ N 230 წერილები, რომლთა მიხედვითაც დგინდება, რომ 2013 წელს ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს ეწურება საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის ვადა, დღეისათვის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი განთავსებულია ქ. ბათუმის სამხატვრო სკოლის შენობაში, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ავტორიზაცია/აკრედიტაციის პირობებს, რის გამოც ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი ვერ გაივლის ავტორიზაცია/აკრედიტაციას და შესაბამისად გაუქმდება უნივერსიტეტის სტატუსი.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ფუნქციონირების აუცილებლობიდან გამომდინარე და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და საჯარო სამართლის იურიდიული პირი „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი“ ითხოვენ დახმარებას ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის სარგებლობაში (ბალანზე) არსებული ქ. ბათუმში ლ.ასათიანის ქუჩა N 37-ში მდებარე შენობა-ნაგებობის, მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთისა და ამ შენობა-ნაგებობაში განთავსებული ინვენტარის (მოძრავი ქონება) უნივერსიტეტისათვის სარგებლობაში გადაცემას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2012 წლის 12 ოქტომრის N 01-14/2857 და საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის“ 2012 წლის 12 ოქტომბრის N 230 წერილების გათვალისწინებით, „სახელმწიფო,

აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბერის №63 დადგენილების მე-2 მუხლის, მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-16 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

1. საჯარო სამართლის იურიდიულ პირს ,,ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს" სარგებლობაში გადაეცეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული, მთავრობის აპარატის სარგებლობაში (ბალანსზე რიცხული) ქ. ბათუმში ლ. ასათიანის ქ. N 37-ში მდებარე შენობა-ნაგებობა და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი N 05.22.46.001.02.500), საბალანსო ღირებულება 6 649 545,31 ლარი, ნარჩენი საბალანსო ღირებულება 6 642 592,34 ლარი და აღნიშნულ ქონებასთან დაკავშირებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის მიერ გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შესრულებული სამუშაოების ხარისხის საგარანტიო ვალდებულებით გათვალისწინებული სამუშაოების შემსრულებლის მიმართ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის მოთხოვნის უფლებები.

2. საჯარო სამართლის იურიდიულ პირს ,,ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს" სარგებლობაში გადაეცეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული მთავრობის აპარატის სარგებლობაში (ბალანსზე რიცხული) ქ. ბათუმში ლ. ასათიანის ქ. N 37-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში არსებული (განთავსებული) ყველა მოძრავი ქონება (ინვენტარი) საერთო საბალანსო ღირებულების ჯამით 798481,66 ლარი და აღნიშნულ მოძრავ ქონებასთან (ინვენტარი) დაკავშირებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის მიერ გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე საქონლის ხარისხის საგარანტიო ვალდებულებით გათვალისწინებული მომწოდებლის მიმართ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის მოთხოვნის უფლებები.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს შორის გაფორმდეს ბრძანების პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ დეტალური მიღება-ჩაბარების აქტები.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ლევან ვარშალომიძე

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 05.22.46.001.02.500

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია	მომზადების თარიღი
N 882013069309 - 20/02/2013 13:22:00	11/03/2013 12:08:47

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	კოდი
ბათუმი	სექტორი 22			
05	**22**	**46**	**001**	**02/500**

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: **თანასაკუთრება**
ნაკვეთის ფუნქცია: **არასასოფლო სამეურნეო**
დაზუსტებული ფართობი:7814.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: **05.02.46.004;**

მისამართი: ქალაქი ბათუმი , ქუჩა ლ.ასათიანი , N 37

მესაკუთრეები

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882011234766 , თარიღი 19/05/2011 15:20:04
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 20/05/2011

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ბრძანება N180 , დამოწმების თარიღი:16/05/2011 , აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
- მომართვა N01-10/1770 , დამოწმების თარიღი:18/05/2011 , აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

მესაკუთრეები:
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

მესაკუთრე:	საკუთრების ტიპი:	საკუთრება:	ფართი:	წილი:
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	საკუთრება	ფართი	4055.20 კვ.მ.	

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

სარგებლობა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი **882011239184** თარიღი **23/05/2011** **11:23:58**	მოსარგებლე: სსიპ "ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი", მესაკუთრე: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა საგანი:4055.2 კვ.მ. ; **ბრძანება, რეესტრის ნომერი N365, დამოწმების თარიღი12/10/2012, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე**
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 23/05/2011	**მიღება ჩაბარების აქტი, დამოწმების თარიღი15/10/2012,**

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას სამემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია სარეგისტრაციო სამსახურში მოსვლის გარეშე, ელექტრონულად წარმოადგინოთ განცხადება: http://public.reestri.gov.ge ან დაგვიკავშირდეთ: 2 405 405; 595 33 71 81; შესწორებული ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ვებ გვერდზე, ელექტრონულად, ასევე სარეგისტრაციო სამსახურში ,"ლიბერთი ბანკის" ნებისმიერ ფილიალში ან "პრივატბანკის" სწრაფი გადახდის აპარატიდან.